N 01-20/133
02/09/2024

133-01-20-2-202409021639

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ვასილ გველესიანს

ბატონო ვასილ,

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციისა" და ,,იმერული ღვინის ასოციაციის" ორგანიზებით, 2024 წლის 4-6 ოქტომბერს, უკვე მეორედ, იმერეთში, ქ. ქუთაისში ტარდება იმერული ღვინის კონკურსი- Imeretian wine Challenge 2024.

კონკურსის მიზანია, საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - იმერული ყურძნის ჯიშების, იმერული ღვინისა და ზოგადად იმერეთის როგორც მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონის ცნობადობის ამაღლება.

საკონკურსო ნიმუშების დეგუსტირებას მოახდენს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჟიური:

რობერტ ჯოზეფი (ბრიტანეთი) - Meninger-ღვინის ბიზნესის საერთაშორიო ჟურნალის ავტორი, London Wine Challenge-ის, Decanter-ის, MUNDUS VINI-ისა და სხვა საერთაშორისო ღვინის კონკურსების ჟიურის წევრი და ღვინის კრიტიკოსი, კონკურსების ორგანიზატორი და დამფუძნებელი, ღვინის კრიტიკოსი, ღვინის ინდუსტრიის ანალიტიკოსი და ბრენდიბგის შემქმნელი.

ტომას ბრენდლი (გერმანია) - ღვინის ექსპერტი, საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ღვინის ქვეყნების პრომოუტერი, Concours Mondial de Bruxelles-ის ელჩი გერმანიაში, ავსტრიაში და მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

დავიდე ბარტონე (იტალია) - ღვინის ჟურნალისტი და ღვინის კრიტიკოსი, ონლაინ ჟურნალის winemag.it-ის მთავარი რედაქტორი, საერთაშორისო გამოცემის Wine-Searcher-ის კორესპონდენტი, ღვინის იმპორტიორი და ღვინის საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრი.

მეთიუ ჰორკეი (აშშ) - ღვინის ჟურნალისტი, მწერალი, საერთაშორისო ბლოგერი და მრავალი საერთაშორისო ღვინის კონკურსის ჟიურის წევრი და ღვინის მოგზაური.

ირინა დიაჩენკოვა (უკრაინა) - Wine Travel Awards-ის და ჟურნალ Drinks+ and DRINKS+-ის თანადამფუძნებელი და ღვინის საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრი

ვლადიმერ კუბლაშვილი (საქართველო) - ღვინის საერთაშორისო ჟიური და მეღვინეობა "ხარებას" მთავარი მეღვინე და აღმასრულებელი დირექტორი

თამარ იმედაძე (საქართველო) - საქართველოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრი

საბა ქიტიაშვილი (საქართველო) - მეღვინეობის მაგისტრი / საერთაშორისო სომელიე ASI Certification 1

თინათინ ჯაჯანიძე (საქართველო) - შპს " ირმა ჭანტურიას სახელობის ღვინის ლაბორატორიის" დირექტორი, ღვინის ექსპერტი, საერთაშორისო კონკურსების დეგუსტატორი

გიორგი სამანიშვილი (საქართველო) - ენოლოგი; ღვინის მენეჯმენტის, ეკონომიკის და სამართლის მაგისტრი

ქეთევან ჯურხაძე (საქართველო) - იმერული ღვინის ასოციაციის დირექტორი და კონკურსის ხელმძღვანელი, ღვინის ექსპერტი, საერთაშორიოს კონკურსების ჟიურის წევრი, ღვინის სკოლა „კაბისტონისა“ და მეღვინეობა „კაბის ტონის“ დამფუძნებელი და მეღვინე.

დამატებით ინფორმაციას, მათ შორის, კონკურსში მონაწილეობის პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ აქ:

https://www.facebook.com/DMOImereti

გთხოვთ, მიიღოთ ცნობად და გაგვიწიოთ დახმარება თქვენს მუნიციპალიტეტში აღნიშნული კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში შესაბამისი საკომუნიკაციო არხებით: ფეისბუკი, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი...

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ მიერ ელექტრონული ფოსტით გადაგზავნილია იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ტურიზმის სამსახურებთან.

პატივისცემით,

მარინე ხაჭაპურიძე

აღმასრულებელი დირექტორი